


კიბოთი ავადობის თავისებურებები საქართველოში, 2014


საქართველოში კიბოს პოპულაციური რეგისტრი 2015 წლის პირველი იანვრიდან დაიწყო, რაც საშუალებას მოგვცემს წლის ბოლოს შედარებით ზუსტი მონაცემები მივიღოთ ონკოლოგიურ დაავადებათა ავადობის თავისებურებების შესახებ, ხოლო 2014 წელს რუტინული სტატისტიკის ფარგლებში დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრში შეკრებილი მონაცემების მიხედვით 2014 წელს წინა წელთან შედარებით ონკოლოგიურ დაავადებათა პრევალენტობა 15%-ით, ხოლო 2003 წელთან შედარებით თითქმის 1.7%-ით შემცირდა; ახალ შემთხვევათა გამოვლენა 2014 წელს 2013 -თან შედარებით 22%-ით გაიზარდა (სურათი 4).

სურათი 4. ონკოლოგიურ დაავადებათა ინციდენტობისა და პრევალენტობის (100000 მოსახლეზე) დინამიკა, 2003-2014




ეროვნული მონაცემების მიხედვით 2014 წელს ქალთა ონკოლოგიური ავადობის სტრუქტურაში პირველ ადგილზე იყო ძუძუს კიბო (მაჩვენებელი 100 000 ქალზე 52), მეორეზე - საშვილოსნოს ყელის კიბო (მაჩვენებელი 100 000 ქალზე 9); ხოლო მომდევნო ადგილებზე კოლორექტალური, საკვრცხეების, კუჭის და საშვილოსნოს ტანის კიბო (მაჩვენებლები 100 000 ქალზე: 10.9, 7.3, 7.1 და 7.1 შესაბამისად) (სურათი 5).

სურათი 5. ქალთა შორის ათი ყველაზე გავრცელებული ონკოლოგიური დაავადების ინციდენტობა დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის (2014) და კიბოს კვლევის საერთაშორისო სააგენტოს (GLOBOCAN, 2012) მიხედვით




ეროვნული მონაცემების მიხედვით 2014 წელს მამაკაცთა ონკოლოგიური ავადობის სტრუქტურაში პირველ ადგილზე იყო ფილტვის კიბო (მაჩვენებელი 100 000 მამაკაცზე 21.8), მეორე ადგილზე პროსტატის კიბო (მაჩვენებელი 100 000 მამაკაცზე 12.6), ხოლო მომდევნო ადგილებზე კოლორექტალური, კუჭის, ხორხის და შარდის ბუშტის კიბო (მაჩვენებლები 100 000 მამაკაცზე 12.3; 11.4; 10 და 8.8 შესაბამისად) (სურათი #6).

სურათი 6. მამაკაცთა შორის ათი ყველაზე გავრცელებული ონკოლოგიური დაავადების ინციდენტობა დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის (2014) და კიბოს კვლევის საერთაშორისო სააგენტოს (GLOBOCAN, 2012) მიხედვით




სურათი 7. ონკოლოგიურ დაავადებათა პრევალენტობის მაჩვენებლები 100 000 მოსახლეზე კიბოს ლოკალიზაციის მიხედვით, 2014

წყარო: საქართველოს დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი



არსებული მონაცემებით, ტრაქეა, ბრონქები და ფილტვის კიბოს პრევალენტობა (მაჩვენებელი 31) ნაკლებია მელანომას და კანის სხვა (მაჩვენებელი 53), აგრეთვე კოლორექტალური (მაჩვენებელი 37.7) კიბოს პრევალენტობაზე; დაბალი პრევალენტობა ფილტვის კიბოს დაბალი გადარჩენის მაჩვენებელს და მაღალ სიკვდილიანობას უკავშირდება.


სურათი 8. ძუძუს, საშვილოსნოს ყელის, საშვილოსნოს ტანის, საკვერცხეების კიბოს პრევალენტობა 100 000 ქალზე და პროსტატის კიბოს პრევალენტობა 100 000 მამაკაცზე, 2014 წელი
წყარო: საქართველოს დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი



2014 წელს დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის მონაცემებით ძუძუს კიბო პრევალენტობით (მაჩვენებელი 100000 ქალზე 318) პირველ ადგილზე იყო, რაც მის მაღალ ინციდენტობას უკავშირდება; საშვილოსნოს ყელის კიბოს პრევალენტობის მაჩვენებელი 4-ჯერ ნაკლებია სარძევე ჯირკვლის კიბოს მაჩვენებელზე (სურათი #8).


2014 წელს განსაკუთრებით მაღალი იყო ღვიძლის, პანკრეასის, ფილტვის და კუჭის კიბოს ლეტალობა (სურათი #9). მაღალი სიკვდილიანობა დაბალ პრევალენტობას განაპირობებს მაღალი ინციდენტობის მქონე ონკოლოგიური დაავადებებისთვისაც.

სურათი 9. ლეტალობა მაღალი სიკვდილიანობის მქონე ონკოლოგიური დაავადებებისთვის, ორივე სქესი, დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი, 2014




სურათზე #10 მოცემულია 5 და მეტი წელი აღრიცხვაზე მყოფ პაციენტთა ხვედრითი წილი საერთო რაოდენობიდან კიბოს ლოკალიზაციის მიხედვით. როგორც არსებული მონაცემები მიუთითებენ, მაჩვენებელი არც თუ ისე მაღალია. ხშირად, პაციენტთა 30%-ზე ნაკლები ცოცხლობს დიაგნოზის დასმიდან 5 წლის მანძილზე ან უფრო დიდხანს. მხოლოდ საშვილოსნოს ტანის და საშვილოსნოს ყელის კიბოთი დაავადებულთა 5-წლიანი გადარჩენის მაჩვენებელი სცილდება 30%-იან ზღვარს; რაც შეეხება ძუძუს და საკვერცხეების კიბოს, 2013 წელს 5-წლიანი გადარჩენა 30%-ზე მაღალი იყო, თუმცა 2014-ში ეს ინდიკატორი ამ ორი ლოკალიზაციის კიბოსთვის შემცირებულია (*წყარო: დეკჯეც*).

სურათი 10. ხუთი და მეტი წელი აღრიცხვაზე მყოფ პაციენტთა ხვედრითი წილი კიბოს ლოკალიზაციის მიხედვით, 2014



ონკოლოგიურ დაავადებათა შემთხვევაში მაღალი სიკვდილობის და დაბალი გადარჩენის მაჩვენებლების ძირითადი მიზეზი დაავადებათა დაგვიანებულ ეტაპზე გამოვლენაა. საქართველოში ამ მხრივ არასახარბიელო მდგომარეობაა: 2014 წლის ეროვნული მონაცემებით, ფილტვის, კუჭისა და ღვიძლის კიბოს 70% და მეტი გამოვლინდა მესამე ან მეოთხე სტადიაზე; დაავადების ამავე ეტაპზე გამოვლინდა ხორხის, საკვერცხეების და პროსტატის კიბოს 50-54%; ასევე მაღალია (მერყეობს 7-დან 20%-მდე) იმ შემთხვევების ხვედრითი წილი, რომელთა სტადია უცნობი იყო გამოვლენისას (სურათი 11).

სურათი 11. ონკოლოგიურ დაავადებათა სტადია დიაგნოზის დადგენისას კიბოს ლოკალიზაციის მიხედვით, 2014



აღსანიშნავია, რომ სარძევე ჯირკვლის და საშვილოსნოს ყელის კიბოს შემთხვევათა 40%-ზე მეტი გამოვლინდა მე-3 და მე-4 სტადიაზე, მაშინ როცა ქვეყანაში მოქმედებს კიბოს სკრინინგის სახელმწიფო პროგრამა, რომელის ფარგლებშიც ხორციელდება მუქუს,


საშვილოსნოს ყელის, პროსტატის და კოლორექტალური კიბოს სკრინინგი; თუმცა, როგორც შედეგები მიუთითებენ, მიზნობრივი პოპულაციის მოცვის მაჩვენებლები საკმაოდ დაბალია (ცხრილი #1).

ცხრილი #1. მოსახლეობის ჩართულობა (მოცვა) კიბოს სკრინინგის პროგრამაში კიბოს ლოკალიზაციის მიხედვით

კიბოს ლოკალიზაცია	მიზნობრივი პოპულაცია	12-თვიანი პერიოდის მიზნობრივი პოპულაცია	ბენეფიციართა რაოდენობა 12 თვეში	მოცვის მაჩვენებელი (%)
ძუძუ	588 353	294177	21865	7,4
საშვილოსნოს ყელი	807 257	269086	23532	8,7
პროსტატა	268 341	268 341	6178	2,3
კოლორექტალური	654 694	654 694	6417	1.0

სურათებზე #12 და #13 მოცემულია ონკოლოგიურ დაავადებათა ავადობის, პრევალენტობისა და სიკვდილიანობის მაჩვენებლები საქართველოს რეგიონებში; შიდა ქართლში პრევალენტობის მაჩვენებელი განსაკუთრებით მაღალია, რაც ამ რეგიონში კუჭის, ფილტვისა და საშვილოსნოს ყელის კიბოს მაღალ გავრცელებას უკავშირდება.

სურათი 12. ონკოლოგიურ დაავადებათა ავადობისა და სიკვდილიანობის მაჩვენებლები 100 000 მოსახლეზე საქართველოს რეგიონებში, 2014



სურათი 13. ონკოლოგიურ დაავადებათა პრევალენტობის მაჩვენებლები 100000 მოსახლეზე საქართველოს რეგიონებში, 2014

